

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - პროექტის პირველი კომპონენტის - ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში - ფარგლებში შემდეგ თანამდებობებზე:

ა) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (კომუნიკაცია ქართულ ენაზე), ადგილების რაოდენობა 2;

ბ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია), ადგილების რაოდენობა 1;

გ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ფიზიკა), ადგილების რაოდენობა 1;

დ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ბიოლოგია), ადგილების რაოდენობა 1;

ე) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მათემატიკური წიგნიერება), ადგილების რაოდენობა 1;

ვ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მოქალაქეობა), ადგილების რაოდენობა 2;

ზ) ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე (მეწარმეობა), ადგილების რაოდენობა 1.

კონკურსი ცხადდება 2017 წლის 25 იანვარს და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 30 იანვრამდე.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს იმ ვაკანსიის დასახელება, რომელზედაც აპირებს განაცხადის გაკეთებას (info@eqe.ge, -ზე დოკუმენტაციის გამოგზავნას).

მაგალითად:

„ზოგადი განათლების ექსპერტი (კომუნიკაცია ქართულ ენაზე)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ფიზიკა)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ბიოლოგია)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი(მათემატიკური წიგნიერება)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მოქალაქეობა)“

„ზოგადი განათლების ექსპერტი (მეწარმეობა)“

წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

კონკურსის შედეგად, ზოგადი განათლების ექსპერტის (კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მათემატიკური წიგნიერება) თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ზოგადი განათლების ექსპერტის (კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მათემატიკური წიგნიერება) მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 4 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1875 ლარის ოდენობით.

ზოგადი განათლების ექსპერტის (მეცნიერება და ტექნოლოგიები, მოქალაქეობა, მეწარმეობა) თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 25 ივლისის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ზოგადი განათლების ექსპერტის (მეცნიერება და ტექნოლოგიები, მოქალაქეობა, მეწარმეობა) მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1875 ლარის ოდენობით.

ზოგადი განათლების ექსპერტის (ყველა მიმართულებით) თანამდებობის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;
- ბ) ეროვნულ სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება;
- გ) ინტეგრირებულ მოდულებზე მუშაობის გამოცდილება;
- დ) საგნობრივ გზამკვლევებზე მუშაობის გამოცდილება.

ზოგადი განათლების ექსპერტის (ყველა მიმართულებით) მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

- ა) შესაბამისი მიმართულების მასწავლებლის გზამკვლევის საპილოტე ვერსიის შემუშავება;
- ბ) მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

- ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

- ა) განცხადებების გადარჩევა;
- ბ) გასაუბრება.